საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2020 წლის 02 ოქტომბერი**

დისციპლინური საქმე №39/260-18
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2018 წლის 16 ოქტომბრის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 11 თებერვლის №39/260-18 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 02 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ საქმე შეეხებოდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის, მეორე ჯგუფის ინვალიდის (-- --) სარჩელს უძრავი ქონების დაბრუნებასთან დაკავშირებით, რომლის განხილვაც მოსამართლე -- -- გააჭიანურა. საჩივრის ავტორის თქმით, სასამართლოს ერთი წელი მხოლოდ იმისთვის დასჭირდა, რომ სარჩელის განხილვაზე ეთქვა უარი, რაზეც გადაწყვეტილება ჯერ მზად არ არის.

საჩივრის ავტორი არ ეთანხმება მიღებულ გადაწყვეტილებას და აღნიშნავს, რომ სასამართლომ უსაფუძვლოდ უთხრა უარი სარჩელის განხილვაზე. მიუხედავად იმისა, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებაში წერია მხოლოდ სასამართლოში გასაჩივრების შესახებ, სასამართლომ უარის მიზეზად მიუთითა გადაწყვეტილების ადმინისტრაციულ ორგანოში გაუსაჩივრებლობა.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2017 წლის 08 დეკემბერს -- -- წარმომადგენელმა - -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე - სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და -- -- -- -- მიმართ და მოითხოვა -- --, -- -- და -- -- ბინის საკუთრებაში გადაცემის შესახებ -- -- -- -- რაიონის გამგეობის 2009 წლის 15 ოქტომბრის №-- განკარგულების ბათილად ცნობა, -- -- -- -- რაიონის

გამგეობის №-- საკუთრების უფლების მოწმობის და მის საფუძველზე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ -- -- №-- განცხადებაზე მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის -- -- 2017 წლის 11 დეკემბრის განჩინებით, -- -- სარჩელზე დადგენილ იქნა ხარვეზი. -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის -- -- 2017 წლის 12 დეკემბრის მოხსენების საფუძველზე, საქმე გადაეცა მოსამართლე -- --.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის -- -- 2017 წლის 20 დეკემბრის განჩინებით, მოსარჩელე -- -- შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 03 იანვრის განჩინებით, -- -- სარჩელზე დადგენილ იქნა ხარვეზი. -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 15 იანვრის განჩინებით, -- -- წარმომადგენლის საჩივარი -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 20 დეკემბრის განჩინების გაუქმების შესახებ, მიღებულ იქნას სასამართლო წარმოებაში.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის2018 წლის 23 იანვრის განჩინებით, -- -- არმომადგენლის საჩივარი -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 20 დეკემბრის განჩინების გაუქმების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

-- -- წარმომადგენლის საჩივარი -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 20 დეკემბრის განჩინების გაუქმების შესახებ, საქმესთან ერთად -- სააპელაციო სასამართლოში გადაიგზავნა 2018 წლის 23 იანვარს.

-- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 23 მარტის განჩინებით, -- -- საჩივარი არ დაკმაყოფილდა. მოსამართლე -- -- საქმე განსახილველად დაუბრუნდა 2018 წლის 25 აპრილს.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 25 აპრილის განჩინებით, -- -- დაზუსტებული სარჩელი (27/03/2018) მიღებულ იქნა წარმოებაში.

2018 წლის 16 მაისს, 01 აგვისტოს და 26 სექტემბერს საქმეზე გაიმართა მოსამზადებელი სხდომა.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 26 სექტემბრის განჩინებით, -- -- სარჩელზე შეწყდა წარმოება დაუშვებლობის გამო. სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა კანონით აღიარებული და დაცული იურიდიული ინტერესი, რომელიც წარმოშობდა მოსარჩელის უფლებამოსილებას მოცემული სახის სარჩელის დავის საგანზე.

2018 წლის 19 ოქტომბერს, 29 ოქტომბერს და 09 ნოემბერს განცხადებით მიმართა -- -- წარმომადგენელმა სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების მოთხოვნით.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 26 სექტემბრის განჩინება მხარეებს გაეგზავნა 2018 წლის 16 ნოემბერს.

2.2. განსახილველ საკითხთან დაკავშირებით ასევე მნიშვნელოვანია შეფასდეს მოსამართლის დატვირთულობა და მასზე განსახილველად გადაცემულ და მის მიერ დასრულებულ საქმეთა რაოდენობა. -- -- სასამართლოს სტატისტიკური მონაცემებით, მოსამართლე -- -- 2018 წელს განსახილველად ეწერა 577 ადმინისტრაციული საქმე, საიდანაც დასრულდა - 391 საქმე (68%), 74 სამართალდარღვევის საქმე, საიდანაც დასრულდა - 74 საქმე (100%).

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:

-- -- 2018 წლის 16 ოქტომბრის №39/260 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტითა (მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება) და „დ“ ქვეპუნქტით (საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება) განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 01 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „დისციპლინური გადაცდომა არის მხოლოდ ამ კანონით გათვალისწინებული, მოსამართლის მიერ ჩადენილი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი ქმედება.“ დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც დისციპლინური გადაცდომის სახეების ჩამონათვალში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება „მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა.“ ამავე ქვეპუნქტის თანახმად, ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმის სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო. არსებითად დარღვევად უნდა ჩაითვალოს მოსამართლის ისეთი ქმედება, რომელმაც ზიანი მიაყენა მხარეს, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს რას წარმოადგენს - საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითი დარღვევა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, ვადებს მნიშვნელოვანი წესრიგი შეაქვს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის პროცესში, რადგანაც ვადა მნიშვნელოვან საჯარო ინტერესებს ემსახურება, როგორებიცაა: ეფექტური, ობიექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა; სამართლებრივი უსაფრთხოების, განსაზღვრულობის, სამოქალაქო ურთიერთობებში წესრიგის და სტაბილურობის დამყარება.[1]

სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობის განსაზღვრა საქმის გარემოებების გათვალისწინებით ხდება, რაც მთლიანი წარმოების შეფასებას გულისხმობს (Boddaert v. Belgium, §36). მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა წარმოების გარკვეული ეტაპები მისაღები ტემპით მიმდინარეობდა, წარმოების მთლიანმა ხანგრძლივობამ შეიძლება მაინც გადააჭარბოს „გონივრულ ვადას“ (Dobbertin v. France, §44).

საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურების შესაძლო ჩადენაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო) იყენებს.

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/1/531, 2013 წლის 05 ნოემბერი, II 17-19

შესაბამისად, საქმის განხილვის ვადების გონივრულობა უნდა შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პრაქტიკით დადგენილი შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grande v. Italy, §55; Papachelas v. Greece, §39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, §72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Human v. Poland, §63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greeck Catholic Parish and others v. Romania, §150);
2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Koenig v. Germany, §103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, §61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას;
3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece, §93; Tiece v. San Marino, §31; Suermeli v. Germany, §129).

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (Koenig v. Germany; §98).

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარების თანახმად, საქმეების ეფექტიანად, სამართლიანად და საკმარისად სწრაფად განხილვისას მოსამართლემ უნდა გამოიჩინოს სათანადო ყურადღება იმ მხარეთა უფლებების მიმართ, რომლებიც მის წინაშე გამოდიან და უზრუნველყოს სადავო საკითხების გადაწყვეტა ზედმეტი დანახარჯებისა და სამართალწარმოების გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე.[2]

ამდენად, მხარეთა უფლება მათი სარჩელის მტკიცებულებათა შეფასების შედეგად გონივრულ ვადაში განხილვის შესახებ, მოსამართლის უპირველესი ვალდებულებაა. მოსამართლე საქმის წარმოების დასაწყისიდანვე უნდა აკონტროლებდეს სამართალწარმოების ვადებს და მის ხანგრძლივობას, მკაფიოდ უნდა განსაზღვრავდეს პროცესუალური მოქმედებების თარიღებს. საპროცესო ვადის დარღვევამ არ უნდა შეუქმნას საფრთხე მართლმსაჯულების განხორციელებას.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღების დღიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა, გარდა ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით ან მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნებისა და უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეებისა, რომლებიც განხილული უნდა იქნეს არაუგვიანეს 1 თვისა.

[2] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრიციპები და კომენტარები, თბილისი 2015, გვ. 192, §207

მნიშვნელოვანია, რომ საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ საქმის განხილვის ვადებთან ერთად, მხედველობაში მიიღება საქმის მოსამართლის წარმოებაში ყოფნის პერიოდი (09 თვე და 14 დღე, აქედან საქმის სააპელაციო სასამართლოში ყოფნის პერიოდი 03 თვე და 03 დღე) საქმეთა სიმრავლე, დატვირთულობა და განსახილველ საქმესთან მიმართებაში მოსამართლის მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებები. ყოველივე ზემოაღნიშნული გამორიცხავს მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 14 დღის ვადაში სასამართლო ამზადებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მხარეთათვის გადასაცემად.

განსახილველ შემთხვევაში, მოსამართლე -- -- განჩინება მიიღო 2018 წლის 26 სექტემბერს, შესაბამისად, განჩინების მიღებიდან მე-14 დღედ უნდა ჩაითვალოს 2018 წლის 10 ოქტომბერი, რა პერიოდიდანაც, დასაბუთებული გადაწყვეტილება მხარეს უნდა გაგზავნოდა 05 დღის განმავლობაში. აღნიშნულის ნაცვლად, მოსარჩელეს განჩინება გაეგზავნა 2018 წლის 16 ნოემბერს.

ზემოხსენებულ საკითხებზე მსჯელობისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს განჩინების მხარისათვის ჩაუბარებლობის ხანგრძლივობაზე (განჩინების მომზადებისა და გაგზავნის დაგვიანების პერიოდმა საერთო ჯამში შეადგინა - 01 თვე) და მოსამართლის წარმოებაში არსებული საქმეთა სიმრავლე და დატვირთულობა.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, განჩინების კანონით დადგენილ ვადაში მხარისათვის გაგზავნის ვადის დარღვევა, დარღვეული ვადის ხანგრძლივობის გათვალისწინებით, შესაძლოა გამოწვეული ყოფილიყო მოსამართლის წარმოებაში არსებულ საქმეთა სიმრავლით, რასაც არ მოჰყოლია მხარის ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რაც კონკრეტული შემთხვევის დისციპლინურ გადაცდომად მიჩნევისთვის ერთ-ერთ არსებით ელემენტს წარმოადგენს.

ამდენად, სტატისტიკური მონაცემების, მოსამართლის დატვირთულებისა და მხარეთა მოქმედებების გათვალისწინებით, მოსამართლის მხრიდან „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი არ დასტურდება.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მოსამართლის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური

სამართალწარმოება. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2020 წლის 02 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 13 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75[12] მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №39/260-18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი